

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება

N01-01/22

ქ. ბათუმი

24/10/ 2016 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (შემდგომში „მაუწყებელი“) მრჩეველთა საბჭომ იხელმძღვანელა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹⁰-ე მუხლის პირველი და მეხუთე პუნქტებით, ამავე კანონის 35⁹-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტითა და მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14/07/2016) მე-7, მე-11 მუხლებით და „დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის შესახებ“ მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის 5.1, 5.2, 5.4, და 5.5 პუნქტებით,

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 18 ოქტომბრის N02/19/1761 წერილობითი შეტყობინებით წარმოდგენილი საპრემიო ფონდი და მისი ოდენობა განისაზღვროს 40 075 (ორმოცი ათას სამოცდათხუთმეტი) ლარის ორენობით;
2. ნათია კაპანაძე (პ/ნ 25001008232) დაინიშნოს მაუწყებლის დირექტორის თანამდებობაზე სამი წლის ვადით;
 - 2.1. მაუწყებლის დირექტორის უფლებამოსილების ვადის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 21 დეკემბრი;
 - 2.2. მაუწყებლის დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვროს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებლის დებულებით და მაუწყებლის დირექტორთან დადებული შრომის ხელშეკრულებით;
 - 2.3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი, ბათუმი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30);
3. გადაწყვეტილება დაუყონებლივ გამოქვეყნდეს მაუწყებლის ვებ-გვერდზე (<http://ajaratv.ge>).

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან იმედაიშვილი